სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2031

თსუ
პროფესიული განათლების
ცენტრი

შესავალი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „თსუ“) არის პირველი ეროვნული უნივერსიტეტი კავკასიაში, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. თსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 2007 წლიდან ხორციელდება, იმ დროიდან, როდესაც საქართველოში უმაღლესი პროფესიული პროგრამების დანერგვა და განხორციელება დაიწყო. წლების განმავლობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე ხორციელდებოდა.

2015 წლიდან თსუ-ში დაიწყო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. აღნიშნული პროგრამების დამატება მოხდა პროგრამის „მოდულური პროგრამების დანერგვა და ხელშეწყობა“ ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უშუალო ხელშეწყობით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების პროცესის ოპტიმიზაციისთვის, უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, დაფუძნდა დამოუკიდებელი დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული "თსუ პროფესიული განათლების ცენტრი", რომელიც 2019 წლის ივნისიდან მართავს უნივერსიტეტის მასშტაბით მოქმედ ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. თსუ პროფესიული განათლების ცენტრი საკუთარ საქმიანობას წარმართავს თბილისსა (მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N19) და ქუთაისში (მისამართი: ნიკეას მე–2 შესახვევი N 8).

თსუ-ში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ 100 %-ით.

თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ორივე ლოკაციის ინფრასტრუქტურა სრულად არის კეთილმოწყობილი და სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს დარგის

მაღალკვალიფიციური მასწავლებლების ჩართულობით.

სარჩევი

შესავალი 2

1. დაგეგმვის მეთოდოლოგია 4
2. მისია, ხედვა, ღირებულებები 7
   - მისია 7
   - ხედვა 7
   - ღირებულებები 7
3. სიტუაციის ანალიზი (SWOT ანალიზი) 8
4. სტრატეგიული განვითარების გეგმა 9
5. შესრულების ინდიკატორები (KPI) 11
6. სამოქმედო გეგმა 13

7. მონიტორინგის მექანიზმი 28

ცხრილები

ცხრილი 1 SWOT ანალიზი 8
ცხრილი 2 სტრატეგიული რუკა 10
ცხრილი 3 შესრულების ინდიკატორები.....11

დიაგრამები

დიაგრამა 1 დაგეგმვის ეტაპები 5
დიაგრამა 2 მონიტორინგის ეტაპები.....29

დაგეგმვის მეთოდოლოგია

თსუ პროფესიული განათლების ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობის პროცესი (იხ. სქემა 1) მიმდინარეობდა 2024-2025 წლებში. ცენტრის სტრატეგიული განვითარების გეგმა (შემდგომში „სტრატეგია“ ან „გეგმა“) მიზნად ისახავს, გამოკვეთოს ძირითადი პრიორიტეტები და სტრატეგიული გზები, რომლებსაც ცენტრი განახორციელებს განვითარების პროცესში. იგი მოიცავს ცენტრის ადმინისტრაციის, სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და სხვა დაინტერესებული მხარეების ხედვას და სრულად შეესაბამება თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხედვას პროფესიული განათლების შესახებ.

სტრატეგია ითვალისწინებს სამთავრობო პროგრამების (2021-2024 წ.წ. და 2025-2028 წ.წ.) სოციალურ-ეკონომიკურ პრიორიტეტებს, რომლებიც მიზნად ისახავს სიღარიბის შემცირებას, თანასწორობის ხელშეწყობას, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას და ფართო რეფორმების განხორციელებას ეკონომიკის დინამიური ზრდისთვის. სტრატეგიის შემუშავების პროცესში, ასევე, გათვალისწინებული იყო ეროვნული და სექტორული პრიორიტეტები და პროფესიულ განათლებაში არსებული გამოწვევები. გარდა ამისა, სტრატეგია მოიცავს ევროკავშირსა და მეზობელი ქვეყნების პროფესიულ განათლებაში დაგროვილ გამოცდილების გაზიარებას.

სტრატეგია ასახავს ცენტრის იმ პრიორიტეტებსა და მიზნებს, რომლებიც განხორციელდება სამოქმედო გეგმის მეშვეობით. გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს ცენტრის დინამიურ განვითარებას ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსის ეფექტური გამოყენებას. გარდა ამისა, სტრატეგია ხაზს უსვამს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავების ინიციატივებს, პროფესიული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, სწავლების შესაბამისობას დასაქმების საჭიროებებთან, პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის დახმარების შეთავაზებას შრომის ბაზრის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

სტრატეგიის შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობდა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ცენტრის ხელმძღვანელი. დაგეგმვის მეთოდოლოგიად გამოყენებული იქნა სტრატეგიული რუკა, რომელიც ეფუძნება რ. კაპლანისა და დ. ნორტონის მიერ შემუშავებულ Balanced Scorecard მოდელს.

პირველ ეტაპზე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი (შემდგომში „სამუშაო ჯგუფი“) ცენტრის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული, რომლის ამოცანა გახლდათ ცენტრის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის გადახედვა - მოდიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა, ასევე, სტრატეგიული გეგმის განხორციელების ფაზაში მხარდაჭერისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა.

2025-2031 სასწავლო წლის სტრატეგიული განვითარებუს გეგმის პროექტის განხილვა მოხდა ცენტრის ადმინისტრაციის, სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და მზად არის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთვის წარსადგენად.

ამ დისკუსიების შედეგად განახლდა ცენტრის მისია, ხედვა, ღირებულებები და საქმიანობა. ორგანიზაციაზე მოქმედი გარე და შიდა ფაქტორების შესაფასებლად, ცენტრმა ჩაატარა SWOT ანალიზი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით.

სამუშაო ჯგუფის მიერ, ასევე, განისაზღვრა ცენტრის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები; თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით შემუშავდა და დამტკიცდა სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება (პრიორიტეტი): სწავლა - სწავლების ხარისხი, ცენტრის ორგანიზაციული ეფექტიანობა, მესამე მისია.

ცენტრმა, საინიციატივო ჯგუფთან და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კოორდინირებით, როგორიცაა: თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ცენტრის ადმინისტრაცია, პროფესიული სტუდენტები (შემდგომში „სტუდენტი“), კურსდამთავრებულები, მასწავლებლები და დამსაქმებლები (პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები), შეიმუშავა სტრატეგიული მიზნები. ეს მიზნები ჩამოთვლილია სტრატეგიულ რუკაზე (იხ. ცხრილი 2), რომელიც, თავის მხრივ, ასახავს მიზნებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და წარმოადგენს სტრატეგიის მიმოხილვას. რუკაზე არსებული ინფორმაცია მოიცავს: ფინანსურ პერსპექტივას, მომხმარებლის პერსპექტივას, შიდა პროცესის პერსპექტივას, თანამშრომლების პროფესიულ ზრდას და რესურსების ოპტიმიზაციას.

შემუშავდა გეგმის შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI) და ჩამოაყალიბდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

სქემა 1. დაგეგმვის ეტაპები



მონიტორინგის მექანიზმი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს (იხ სქემა 2): 1. ინფორმაციის შეგროვება 2. განხორციელებული გეგმის შეფასება. 3. შეფასების შედეგები 4. გეგმის კორექტირება.

სქემა 2. მონიტორინგის პროცესი



პირველი ეტაპი: სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირებისგან განხორციელებული აქტივობებისა და სტრატეგიული მიზნის შესრულების პროგრესის (იზომება განსაზღვრული ინდიკატორებით) შესახებ ინფორმაციის მიღება.

მეორე ეტაპი: მიღებული ინფორმაციის განხილვა და განხორციელებული აქტივობების შეფასება. სამოქმედო გეგმის შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს. მონიტორინგის ამ ეტაპზე ხდება სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შედეგად მიღწეული სამიზნე ნიშნულების დადარება დაგეგმილთან. თავის მხრივ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თითოეული აქტივობის განხორციელების შედეგად მიღწეული ნიშნულის შემოწმება (გაზომვა) ხდება შესაბამისი სტრატეგიული ამოცანის საზომი ინდიკატორებით (KPI).

მესამე ეტაპი: შეფასების შედეგების საფუძველზე რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავება და განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან.

მეოთხე ეტაპი: გადაწყვეტილების მიღება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის საჭიროების თაობაზე.

1. მისია, ხედვა, ღირებულებები

მისია

- მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობის ფარგლებში უზრუნველვყოთ ყველასთვის ხელმისაწვდომი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული განათლება, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ კადრებს სწარაფად ცვალებად დასაქმების გარემოში, ხელს შეუწყობს ინდივიდის პიროვნული, სამეწარმეო უნარების განვითარებას და აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებას.

ხედვა

- ვიყოთ კვალიფიციური პროფესიული კადრების წამყვანი მიმწოდებელი ადგილობრივი ბაზრისთვის და წვლილი შევიტანოთ ეკონომიკური პროგრესის უპირატესობების თანაბარ განაწილებაში სოციალურ-ეკონომიკური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად.

ღირებულებები

- პროაქტიული ლიდერობის, ინოვაციების, კრეატიულობისა და რისკების დაბალანსების ხელშეწყობა.
- ეთიკური სტანდარტების დაცვა პატიოსნებისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით ყველა სამუშაო საქმეში.
- ხარისხის კულტურის შენარჩუნება პროფესიული განათლების მიწოდებისას.
- ინკლუზიური სასწავლო გარემოს ხელშეწყობა.
- გუნდური მუშაობის და თანამშრომლობის წახალისება.
- სტუდენტების მომზადება საზოგადოების საჭიროებებზე რეაგირებისათვის.
- მეწარმეობისა და სამუშაო ძალის განვითარება.

2. არსებული სიტუაციის ანალიზი (SWOT ანალიზი)

ცხრილი 1. SWOT ანალიზი

	ძლიერი მხარე	გასაუმჯობესებელი მხარე
1	თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ცნობადობა	ერთიანი ელექტრონული მართვის სისტემის შექმნა
2	ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია
3	საერთო საცხოვრებელი თბილისის ლოკაციაზე	ქუთაისის ლოკაციაზე საერთო საცხოვრებლის მოწყობა
4	ეფექტიანი მენეჯმენტის სისტემა	თბილისისა და ქუთაისის ლოკაციაზე სასწავლო ფართის გაზრდა
5	ორგანიზაციული კულტურა	სოციალური ჩართულობის გაძლიერება
6	კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლები	აქტიური სტუდენტური ცხოვრების წახალისება, ექსტრაკურიკულური აქტივობები
7	კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი	
	შესაძლებლობები	**საფრთხეები**
1	უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის პოტენციალი	პროფესიული სტანდარტების ხშირი ცვლილებები
2	საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პროფესიული სწავლების მნიშვნელობის შესახებ	პროფესიული პროგრამების დაფინანსების მოდელის ცვლილება
3	ახალი გრძელვადიანი პროფესიული პროგრამების შემუშავება/დანერგვა	კონკრეტულ პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტთა/მსმენელთა გადინების მაღალი მაჩვენებელი
4	ახალი მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება/დანერგვა	პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადინების რისკი
5	ინდუსტრიასთან კავშირის გაძლიერება	რეგიონში პოლიტიკური გარემოს სწრაფი ცვალებადობა
6	სასწავლო პროცესის მართვისა და ადმინისტრირების დიგიტალიზაციის ხელშწყობა	

3. სტრატეგიული განვითარების გეგმა

ცენტრის მიერ განისაზღვრა სამი ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტი: სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება, ცენტრის ორგანიზაციული ეფექტიანობა და მესამე მისია.

1. **სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება**

ცენტრი ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას, განვითარებასა და გაუმჯობესებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ეს ერთობლივი მიდგომა საშუალებას აძლევს ცენტრს, სტუდენტებს/მსმენელებს მიაწოდოს მაღალი ხარისხის, თანამედროვე და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ცენტრი ყურადღებას ამახვილებს სწავლების ხარისხზე, პროგრამების განახლებასა და კვალიფიციური მასწავლებლების მოზიდვა-შენარჩუნებაზე.

2. **ცენტრის ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება**

ცენტრი ორიენტირებულია უზრუნველყოს ორგანიზაციული ეფექტიანობის ზრდა სისტემის სრული მხარდაჭერის, გაუმჯობესების, ახალი შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და განვითარების გზით. ამ მიზნით, ცენტრი ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, პროფესიულ მასწავლებლებს და სტუდენტებს/მსმენელებს საკუთარი საქმიანობის განხორციელებაში.

3. **მესამე მისია**

არსებობს მზარდი მოთხოვნა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ საზოგადოებაში თავიანთი წვლილის შეტანასთან დაკავშირებით. ცენტრი, თსუ-ს მისიიდან გამომდინარე, გეგმავს ცოდნის სწორად გამოყენებით საზოგადოების მზარდი სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების მხარდაჭერის გაძლიერებას.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიმართულებებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ცენტრის ძირითადი სტრატეგიული ამოცანები. სტრატეგიულ რუკაზე ეს ამოცანები იყოფა ოთხ მიმართულებად: ფინანსური, მომხმარებლის, პროცესის და რესურსების პერსპექტივები (იხ. სქემა 1). თითოეული სტრატეგიული ამოცანისთვის დადგენილია კონკრეტული საზომი ინდიკატორები, რომლებიც წარმოადგენენ ერთგვარ პარამეტრებს ამოცანების შესრულების შესაფასებლად. ეს იძლევა ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას და ხელს უწყობს სამომავლოდ სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელებას.

ცხრილი 2. სტრატეგიული რუკა

	ფინანსების პერსპექტივა	დაინტერესებული მხარეების პერსპექტივა	შიდა პროცესების პერსპექტივა	რესურსების პერსპექტივა
სწავლა - სწავლება	F1. სტუდენტების მიღების გაზრდა.	C1: პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და მასწავლებელთა კმაყოფილების ზრდა.	P1: შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციის გათვალისწინებით პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა.	R1: მაღალკვალიფიციური, პრაქტიკული გამოცდილების მქონე მასწავლებლების მოზიდვა, შენარჩუნება და განვითარება, ასევე, ახალგაზრდა კადრების გაზრდა და შენარჩუნება.
	F2. პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარჯების ეფექტიანი მართვა.	C2: ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.		R2: პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და მუდმივი გაძლიერება.
		C3: სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა.		
თსუ პროფესიული განათლების ცენტრის ორგანიზაციული ეფექტიანობა			P2: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.	R3: ახალი და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
			P3: სასწავლო პროცესების მართვის სისტემის გაუმჯობესება.	
			P4: თსუ-ს პროფესიული განათლების პროგრამების ცნობადობის ამაღლება.	
			P5: დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის გაძლიერება	
მესამე მისია			P6: სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული მასწავლებლების სოციალური ჩართულობის ზრდა და ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზება პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით	

4. შესრულების ინდიკატორები (KPI)

ცხრილი 3. შესრულების ინდიკატორები

კოდი	სტრატეგიული მიზანი	ინდიკატორი
	(C) მომხმარებლის პერსპექტივა	
C-1	სტუდენტთა/მსმენელთა და მასწავლებელთა კმაყოფილების ზრდა.	• პროგრამების მიხედვით სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების მაჩვენებელი. • პროფესიული პროგრამის მიხედვით კურსდამთავრებულთა კმაყოფილების მაჩვენებელი. • პროგრამების მიხედვით პროფესიული მასწავლებლის კმაყოფილების მაჩვენებელი.
C-2	ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.	• კურიკულუმის დაახლოება საერთაშრისო პრაქტიკებთან საგანმანათლებლო პროგრამებში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება • უცხოელი პარტნიორების რაოდენობა. • გაცვლით პროგრამებში მონაწილე პირების რაოდენობა
C-3	სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა.	• კურსდამთავრებულთა დასაქმების ზრდის ტენდენცია პროგრამების მიხედვით (%). • დასაქმებულ კურსდამთავრებულთა %-ლი თანაფარდობა კურსდამთავრებულთა სრულ რაოდენობასთან პროგრამების მიხედვით. • პროფესიით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა %-ლი თანაფარდობა დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მთლიან რაოდენობასთან.
	(P) შიდა პროცესების პერსპექტივა	
P-1	შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციის გათვალისწინებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა.	• ახალი პროგრამების რაოდენობა; • შრომის ბაზრის ანალიზი
P-2	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.	• მასწავლებლების კმაყოფილების მაჩვენებელი; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი • სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილების მაჩვენებელი; • პროფესიული პროგრამის მოდულების წარმატებით დაძლევის მაჩვენებელი;

		• კურსდამთავრებულთა რაოდენობის %-ლი თანაფარდობა პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა მთლიან რაოდენობასთან;
P-3	სასწავლო პროცესების მართვის სისტემის გაუმჯობესება.	• დანერგილი სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა; • სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილების მაჩვენებელი სასწავლო პროცესების მიმართ.
P-4	პროფესიული პროგრამების ცნობადობის ამაღლება.	• ცენტრის ვებ გვერდის ნახვის რაოდენობა; • ცენტრის სოციალური ქსელის პლატფორმის ნახვის რაოდენობა; • ცენტრის სოციალური ქსელის გამომწერთა რაოდენობა. • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
P-5	დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის გაძლიერება.	• მემორანდუმების, ხელშეკრულებების რაოდენობა; • სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში; • ცენტრის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში ჩართულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა.
P-6	სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული მასწავლებლების სოციალური ჩართულობის ზრდა და ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზება პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.	• სოციალურ აქტივობაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა; • სოციალურ აქტივობაში ჩართული პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა; • სოციალური პროგრამების რაოდენობა; • ექსტრაკურიკულურ აქტივობებში ჩართული პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების და პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობა.
	(R) რესურსების პერსპექტივა	
R-1	მაღალკვალიფიციური, პრაქტიკული გამოცდილების მქონე მასწავლებლების მოზიდვა, შენარჩუნება და განვითარება, ასევე, ახალგაზრდა კადრების გაზრდა და შენარჩუნება.	• მოზიდული ადამიანური რესურსის რაოდენობრივი მაჩვენებელი; • პერსონალის დენადობის მაჩვენებელი.
R-2	პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.	• ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების რაოდენობა; • მხარდამჭერი ღონისძიებების რაოდენობა; • პარტნიორ ადგილობრივ და უცხოურ პსდ-სთან მსგავსი პროფესიული პროგრამის ფარგლებში გამოცდილების გაზიარება;
R-3	ახალი და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.	• გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის ფართი; • ახალი ინფრასტრუქტურის ფართი; • აღჭურვილობების რაოდენობა.

5. სამოქმედო გეგმა

კოდი	სტრატეგიული მიზანი	აქტივობები	შესრულების ვადა	პასუხიმგებელი პირი	საჭირო რესურსები	შესრულების ინდიკატორები
C-1.1	C-1. სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა.	ცენტრის კარიერული მხარდაჭერის მომსახურების მექანიზმის გაუმჯობესება.	2025-2028	ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	პროგრამების მიხედვით სტუდენტთა და მსმენელთა კმაყოფილების მაჩვენებელი. პროფესიული პროგრამის მიხედვით კურსდამთავრებულთა კმაყოფილების მაჩვენებელი.
C-1.2	C-1. სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა.	ახალი და არსებული პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება და მემორანდუმების/ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები, შესრულებული საქმიანობის ანგარიშები
C-1.3	C-1. სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა.	სტუდენტებისათვის/მსმენელებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის სტაჟირების და დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.	2025-2031	პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი, ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	სტუდენტების/ მსმენელების და კურსდამთავრებულების ინფორმირებულობის მაჩვენებელი (თსუ- ელ. ფოსტა, სოციალური ქსელში გავრცელებულ ინფორმაციაზე წვდომის მაჩვენებელი)
C-1.4	C-1. სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა.	დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა.	2025-2031	პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი, ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში.	15 000 ლ.	დასაქმების ფორუმებში მონაწილე პირების რაოდენობა

C-1.5	C-1. სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა.	კურსდამთავრებულთა ბაზის განახლება.	2025-2031	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	კურსდამთავრებულთა ბაზაში შეყვანილი მონაცემები
C-1.6	C-1. სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა.	სტუდენტების/მსმენელების და კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევევის ჩატარება, ანალიზი და რეაგირება.	2025-2031	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	ჩატარებული კვლევის შედეგები და მათზე რეაგირების ანგარიში
C-1.7	C-1. სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა.	შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი განმავითარებელი ტრენინგების შეთავაზება სტუდენტების/მსმენელების და კურსდამთავრებულებისათვის.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი, ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში, პროგრამის ხელმძღვანელი.	18 000 ლ.	ჩატარებული განმავითარებელი ტრენინგებისა და მათში მონაწილე სტუდენტების/მსმენელების და კურსდამთავრებულების რაოდენობა
C-1.8	C-1. სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა.	პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის კარიერის დაგეგმვის და სამუშაოს ძიების ტექნიკის შესახებ ტრენინგების ჩატარება.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი, ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში, პროგრამის ხელმძღვანელი.	12 000 ლ.	ჩატარებული ტრენინგებისა და მათში მონაწილე სტუდენტების/მსმენელების რაოდენობა
C-1.9	C-1. სტუდენტთა/მსმენელთა და	შეხვედრების ორგანიზება სხვადასხვა პროფესიის	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე,	ცენტრის ადმინისტრაციული	ჩატარებული შეხვედრების სტატისტიკა

	კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა.	წარმატებულ კურსდამთავრებულებთან, დარგის სპეციალისტებთან და მათი გამოცდილების გაზიარება.		ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი, ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში, პროგრამის ხელმძღვანელი.	ადამინური რესურსი	
C-2.1	C-2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.	საერთაშორისო გაცვლით პროექტებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება.	2025-2027	ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესიული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.	ცენტრისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული რესურსი	მოძიებული ინფორმაცია, განხორციელებული აქტივობები
C-2.2	C-2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.	არსებულ/ახალ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერება და ერთობლივი გაცვლითი პროგრამების შემუშავება.	2026-2028	ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესიული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.	ცენტრის, პარტნიორების და საერთასოშრისო პროექტის ბიუჯეტი	შემუშავებული ერთობლივი პროგრამები, გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები
C-2.3	C-2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.	ახალი პარტნიორების მოძიება და მათთან თანამშრომლობის მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება.	2026-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესიული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.	ცენტრის, პარტნიორების და საერთასოშრისო პროექტის ბიუჯეტი	გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები
C-2.4	C-2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.	პროფესიული სტუდენტებისათვის/პერსონალისთვის გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.	2026-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესიული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.	ცენტრისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული რესურსი	სტუდენტების ინფორმირებულობის მაჩვენებელი (თსუ- მეილები, სოციალური ქსელში გავრცელებულ ინფორმაციაზე წვდომის მაჩვენებელი)
C-2.5	C-2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.	გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით	2027-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესიული პროგრამების	ცენტრის ბიუჯეტი, პარტნიორი	გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა

		კონკურსის გამოცხადების ინიცირება.		ინტერნაციონალიზაციის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.	ორგანიზაციების ბიუჯეტი	
C-2.6	C-2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.	პროფესიული სტუდენტებისთვის/პერსონალისთვის დახმარების აღმოჩენა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიზნით.	2027-2031	პროფესიული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მენეჯერი	ცენტრისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული რესურსი	გაწეული კონსულტაციები
P-1.1	P-1 შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციის გათვალისწინებით პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა.	შრომის ბაზრის ანალიზი და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით პროფესიების გამოვლენა.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ცენტრის ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული პროგრამების ადმინისტრატორი, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მენეჯერი, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	გამოქვეყნებული კვლევები, დამსაქმებლების კვლევა, კურსდამთავრებულების კვლევა
P-1.2	P-1 შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციის გათვალისწინებით პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა.	კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ახალი პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის მიზნით.	2025-2031	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	ჩატარებული კვლევები
P-1.3	P-1 შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციის გათვალისწინებით პროფესიული	ახალი პროფესიული საგანამათლებლო პროგრამების	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე,	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი და ბიუჯეტი	ავტორიზებული პროფესიული პროგრამები

	საგანამანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა.	შემუშავება და დანერგვა		ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.		
P-2.1	P-2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.	დაინტერესებულ მხარეებთან გამოკითხვის მექანიზმის დახვეწა და გაუმჯობესება.	2025-2026	ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული პროგრამების ადმინისტრატორი, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	განახლებული გამოკითხვის მექანიზმი
P-2.2	P-2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.	გამოკითხვის ჩატარება, გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და რეაგირების გეგმის შემუშავება.	2025-2031	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	გამოკითხვის შედეგები და მათზე რეაგირების ანგარიში
P-2.3	P-2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.	პროფესიული სწავლების საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და გამოცდილების გაზიარება.	2026-2031	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფესიული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მენეჯერი, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	ჩატარებული შეხვედრები
P-2.5	P-2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.	პერსონალის განვითარების მიზნით აქტივობების დაგეგმვა და განხორცილება.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული პროგრამების ადმინისტრატორი,	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	კითხვარები, დაგეგმილი აქტივობები

				პროფესიული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მენეჯერი.		
P-2.6	P-2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტების დახვეწა და გაუმჯობესება.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	შემუშავებული/დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტები
P-2.7	P-2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების პროგრამების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.	ვერიფიკაციის, შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცესზე დაკვირვება ხარისხის მექანიზმის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	ვერიფიკაციის, შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები
P-3.1	სასწავლო პროცესების მართვის სისტემის გაუმჯობესება.	სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება.	2025-2028	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	შემუშავებული მონიტორინგის სისტემის მექანიზმ(ებ)ი.
P-3.2	სასწავლო პროცესების მართვის სისტემის გაუმჯობესება.	სასწავლო პროცესების მუდმივი მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგების ანალიზი და გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირება.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	მონიტორინგის შედეგების ანალიზის დოკუმენტი და რეაგირების გეგმა.
P-3.3	სასწავლო პროცესების მართვის სისტემის გაუმჯობესება.	შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესება.	2025-2031	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი/სპეციალისტი, პროგრამის ხემძღვანელი	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	შეფასების ინსტრუმენტში განხორციელებული ცვლილებები
P-3.4	სასწავლო პროცესების მართვის სისტემის გაუმჯობესება.	შეფასების უწყისებისა და მტკიცებულებების	2025-2031	ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	შეფასების უწყისში განხორციელებული ცვლილებები,

		აღრიცხვის მექანიზმის გაუმჯობესება.		პროგრამების სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი/სპეციალისტი, სტუდენტის პირადი საქმის წარმოების მენეჯერი.		მტკიცებულებების აღრიცხვის გაუმჯობესებული მექანიზმი
P-3.5	სასწავლო პროცესების მართვის სისტემის გაუმჯობესება	სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემის პლატფორმის მოძიება, დანერგვა.	2025-2030	ცენტრის ხელმძღვანელი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი, ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი/სპეციალისტი, სტუდენტის პირადი საქმის წარმოების მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი და ბიუჯეტი	სასწავლო პროცესში ადაპტირებული ელექტრონული სისტემის პლატფორმა
P-4.1	თსუ-ს პროფესიული განათლების პროგრამების ცნობადობის ამაღლება.	მიზნობრივი აუდიტორიის და საკომუნიკაციო არხების განსაზღვრა. შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.	2025-2031	ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი,	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა , განხორციელებული აქტივობების რაოდენობა, აქტივობებში ჩართული პირების რაოდენობა.
P-4.2	თსუ-ს პროფესიული განათლების პროგრამების ცნობადობის ამაღლება.	გზავნილის სწორად მიწოდების მიზნით ეფექტიანი საკომუნიკაციო/სარეკლამო ინსტრუმენტის შემუშავება-გავრცელება.	2025-2031	ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი,	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებული რეკლამა
P-4.3	თსუ-ს პროფესიული განათლების პროგრამების ცნობადობის ამაღლება.	ვებგვერდის (მათ შორის ინგლისურ ენაზე	2025-2031	ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების	ცენტრის ადმინისტრაციული	ინგლისურ ენაზე გამართული ვებ გვერდი და სოციალური ქსელით

		უზრუნველყოფა), სოციალური ქსელების გამოყენების მექანიზმის დახვეწა.		საკითხებში, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი,	რესურსი, ცენტრის ბიუჯეტი	განხორციელებული ეფექტური რეკლამირება
P-4.4	თსუ-ს პროფესიული განათლების პროგრამების ცნობადობის ამაღლება.	ვიზიტები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.	2025-2031	ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი,	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი, ცენტრის ბიუჯეტი	განხორციელებული ვიზიტები და შედეგების ანალიზი
P-4.5	თსუ-ს პროფესიული განათლების პროგრამების ცნობადობის ამაღლება.	პროფესიული განათლების გამოფენებში მონაწილეობა.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი,	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი, ცენტრის ბიუჯეტი	მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები/ფოტო-ვიდეო კოლაჟი
P-5.1	დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაძლიერება	პრაქტიკის ახალი ობიექტების მოძიება და მათთან თანამრომლობის მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი, ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	ახალი პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები
P-5.2	დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაძლიერება.	დამსაქმებელთა ჩართულობა არსებული პროგრამების გაუმჯობესებასა და ახალი პროგრამების დამატებაში.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და ანალიზის დოკუმენტი

				პროგრამების სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი.		
P-5.3	დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაძლიერება.	დარგობრივი პროფესიული ასოციაციების გამოვლენა და მათთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	დარგობრივ ასოციაციასთან/ასოციაციებთან გაფორმებული მემორანდუმ(ებ)ი
P-5.4	დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაძლიერება.	მასტერკლასების/ტრენინგების/გაცნობითი ვიზიტების ჩატარება დამსაქმებლების მხრიდან როგორც ცენტრში, ასევე, პარტნიორი ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი და ბიუჯეტი	ჩატარებული მასტერკლასები/ტრენინგები/ გაცნობითი ვიზიტები და განხორციელებული აქტივობ(ებ)ის შესაბამისი მტკიცებულებები.
P-6.1	სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული მასწავლებლების სოციალური ჩართულობის ზრდა და ექსტრაკულიკურული აქტივობების ორგანიზება პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.	სტუდენტების და მასწავლებლების ინფორმირება დაგეგმილი სოციალური აქტივობების შესახებ.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი, ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში, პროგრამის ხელმძღვანელი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის, გაზიარებული ინფორმაცია
P-6.2	სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული მასწავლებლების სოციალური ჩართულობის ზრდა და ექსტრაკულიკურული	ცენტრის მიერ სოციალური აქტივობების მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრებისა და	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები/პრეზენტაციები და განხორციელებული აქტივობის დამადასტურებელი მტკიცებულებები

	აქტივობების ორგანიზება პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.	პრეზენტაციების ჩატარება.		მენეჯერი, ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში, პროგრამის ხელმძღვანელი.		
P-6.3	სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული მასწავლებლების სოციალური ჩართულობის ზრდა და ექსტრაკულიკურული აქტივობების ორგანიზება პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.	სტუდენტების, მასწავლებლების და ცენტრის ადმინისტრაციული პერსონალის სოციალური ჩართულობის აქტივობების განხორციელება-შეფასება მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებით.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, პროფესიული ორიენტაციის და კარიერის დაგეგმის მენეჯერი, ცენტრის კონსულტანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხებში, პროგრამის ხელმძღვანელი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	განხორციელებული აქტივობები შესაბამისი მტკიცებულებებით
R-1.1	მაღალკვალიფიციური, მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების პერსონალის მოზიდვა, შენარჩუნება და განვითარება, ასევე ახალგაზრდა კადრების გაზრდა და შენარჩუნება.	ახალი პერსონალის მოზიდვისთვის სამუშაოების დაგემავა და განხორციელება	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები
R-1.2	მაღალკვალიფიციური, მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების პერსონალის მოზიდვა, შენარჩუნება და განვითარება, ასევე ახალგაზრდა კადრების გაზრდა და შენარჩუნება.	იდენტიფიცირებული საკითხების მიხედვით თემატური ტრენინგების, შეხვედრების დაგემავა და განხორციელება	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	განხორციელებული აქტივობები
R-1.3	მაღალკვალიფიციური, მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების პერსონალის მოზიდვა,	პერსონალის კმაყოფილების დონისა და მათი პროფესიული განვითარების	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ხარისხის	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტი

	შენარჩუნება და განვითარება, ასევე, ახალგაზრდა კადრების გაზრდა და შენარჩუნება.	საჭიროებების შეფასება და იდენტიფიცირება		უზრუნველყოფის მენეჯერი.		
R-2.1	პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.	პროფესიული მასწავლებლების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისთვის აქტივობების დაგემავა და განხორციელება	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	განხორციელებული აქტივობები
R-2.2	პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.	ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიულ მასწავლებელთა ინგლისური ენის გაუმჯობესების მიზნით ენის კურსის შეთავაზება.	2026-2028	ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე.	10 000-20 000 ლ.	ინგლისურ ენაში გადამზადებული ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალი, სერტიფიკატები,
R-2.3	პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.	ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისთვის აქტივობების დაგემავა და განხორციელება	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელია პირველი მოადგილე.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	განხორციელებული აქტივობები
R-3.1	ახალი და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.	პროფესიული პროგრამებისთვის არსებული მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შეფასება.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	გამოკითხვის შედეგები
R-3.2	ახალი და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.	მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შეფასების საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული პროგრამების სასწავლო	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

				პროცესის ადმინისტრატორი.		
R-3.3	ახალი და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფასტრუქტურის გაუმჯობესება.	ახალი და მოქმედი პროფესიული პროგრამებისათვის მატერიალურ ტექნიკური ბაზის შეძენის/განახლების პროექტის შემუშავება.	2025-2031	ცენტრის ხელმძღვანელი, მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლებისა და პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესის ადმინისტრატორი.	ცენტრის ადმინისტრაციული რესურსი	კვლევის/გამოკითხვის შედეგები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისთვის შემუშავებული პროექტი
R-3.4	ახალი და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.	წიგნადი ფონდის, ასევე, ელექტრონული ბიბლიოთეკის შევსება უახლესი ლიტერატურით.	2025-2031	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი/პროფესიული მასწავლებელი	50 000 ლ.	განახლებული წიგნადი ფონდი და ელექტრონული ბიბლიოთეკა

6. მონიტორინგის მექანიზმი

მონიტორინგი არის მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ცენტრის მმართველ გუნდს, მიიღოს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ეფექტიანი გადაწყვეტილებები და განსაზღვროს, როგორ ხორციელდება წინამდებარე დოკუმენტით დასახული მიზნების მიღწევა.

მონიტორინგი მოიცავს მონაცემთა რუტინულ შეგროვებას და ანალიზს სტრატეგიული გეგმის წარმატებით განხორციელების შესახებ. მონიტორინგის ანალიზის შედეგები გამოყენებული იქნება ყველა დონის გადაწყვეტილების მიმღებთათვის. სტრატეგიული გეგმის მიზნები გაძლიერდება მაკორექტირებელი ღონისძიებებით, საჭიროების შემთხვევაში.

ეს მიიღწევა:

1. მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორების შემუშავებით სტრატეგიული გეგმის განხორციელების ყველა დონეზე.
2. მონაცემთა ანალიზისა და სტრატეგიული გეგმის ანგარიშგების მომზადებით.
3. შემთხვევითი შემოწმების ჩატარებით და ობიექტური დაკვირვების განხორციელებით.
4. დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.
5. ზემოთ დასახელებული მიზნების მისაღწევად რექტორის ინიდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება მუდმივმოქმედი კომისია (კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი აისახება ბრძანებაში), რომელიც არანაკლებ წელიწადში ერთხელ აფასებს შესრულებულ სამუშაოს და ანგარიშს წარუდგენს რექტორს და ცენტრის ხელმძღვანელს.

ცენტრი პერიოდულად ანგარიშს წარუდგენს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სტრატეგიული გეგმის განხორციელების შესახებ **(სამ წელიწადში ერთხელ).** თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს ანგარიშს ინდიკატორების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას დროული უკუკავშირი და შესაბამისად, დადებითი პროგრესი.

ცენტრის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება საანგარიშო წლის განმავლობაში შუალედური და შემაჯამებლი ანგარიშების სახით.

სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესი მოიცავს ოთხ ეტაპს:

დიაგრამა 2 მონიტორინგის ეტაპები